

ევროინტეგრაციული კურსის გავლენა ადგილობრივი  
თვითმმართველობის რეფორმებზე საქართველოში

სალომე სიჭინავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გია ნოდია, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

## განაცხადი

*”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”*

სალომე სიჭინავა

06.07.2015

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი, საქართველოს მაგალითზე, იკვლევს დემოკრატიზაციის პროცესში განხორციელებულ რეფორმებში განვითარებული ქვეყნების როლს. ნაშრომი განხილულია თანამედროვე ავტორიტეტული მკვლევარების სტივენ ლევიცკისა და ლუკან უეის თეორიის კონტექსტში.

კვლევის მიზანია, აჩვენოს თუ რამდენად ამართლებს განხილული თეორიები და რამდენად ადეკვატურად პასუხობენ ისინი რეალობას. კვლევაში გამოყენებული თეორიების გადამოწმება განხორციელდა კონკრეტული ქეისის - ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმებში, დასავლეთის, როგორც მოქმედი აქტორის, მნიშვნელობის ანალიზის საფუძველზე.

მეთოდოლოგიურად ნაშრომი თვისებრივი კვლევის მეთოდების ჩარჩოში განიხილება. მონაცემთა მოპოვებისა და ანალიზის პროცესში გამოყენებულია როგორც პირველადი, ისე მეორადი წყაროები. კვლევის ფარგლებში განხორციელდა ჩაღრმავებული ინტერვიუები, ამასთანავე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული კვლევებისა და ანგარიშების კონტენტ ანალიზი.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ დემოკრატიზაციის პროცესის წარმატება დიდწილად დამოკიდებულია ქვეყნის შიდა პოლიტიკურ-ეკონომიკურ კლიმატსა და ხელისუფლების მზაობაზე ეფექტურად წარმართოს დეცენტრალიზაციის პროცესი.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** დემოკრატიზაცია; ადგილობრივი თვითმმართველობა; „ბერკეტები“; „გადაბმულობა“; იდენტობა.

## Abstract

Present master paper researchs the role of developed countries in the process of democratization reforms in case of Georgia. based on the theories of an authoritative researchers and the case study. The research aims to show how much do these theories work and how to adequately respond the reality. The verification of the theory was carried out by analyzing the concrete case - West's, as the applicable actor's role in local government reforms in Georiga.

Methodologically the study is in framework of qualitative research methods. At the same time, for data collecting and analyzing process is used such specific methodological techniques as: analysis of both primary and secondary sources, In-depth interviews and content analysis of the researches and reports prepared by local and international organizations.

Research demonstrates that the success of democratization process mostly depends on the country's internal political and economic climate and the government's readiness to effectively conduct the decentralization process.

**Key Words:** Democratization; Local Government; Leverage; Linkage; Identity.

## მადლობა

მინდა დიდი მადლიერება გამოვხატო ჩემი აკადემიური ხელმძღვანელის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორის, ბატონ გია ნოდის მიმართ, რამეთუ მან საკუთარი შენიშვნებით, კრიტიკული მოსაზრებებითა და რჩევებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნაშრომის მომზადებაში.

ასევე, მადლობას ვუხდის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, თვითმმართველობის განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის საკითხებში მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალი, ადგილობრივი დემოკრატიის ქსელის ცენტრის ხელმძღვანელს - ბატონ დავით ლოსაბერიძესა და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს, ბატონ დავით მელუას, რომლებმაც შეძლეს დროის გამონახვა და დამთანხმდნენ ინტრვიუზე.

ამავდროულად, მინდა განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა ჩემს მეგობარს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო ადმინისტრირების სტუდენტს, გოგიტა ღვედაშვილს, რომელმაც არაერთი საგულისხმო რჩევა მომცა ნაშრომზე მუშაობის პროცესში.